# დისტანციური მუშაობის გავლენა ოფისის თანამშრომელთა მოტივაციაზე კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში (საქართველოს მაგალითზე)

**ნუნუ ზეგაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი, დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,**

**თბილისი 2022**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნუნუ ბეგაშვილი

28.06.2022



# მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემი კურსის ხელმძღვანელს ქალბატონ ნათია ვაჩეიშვილს, გაწეული დახმარების, შრომისა და ნაშრომის სრულფასოვნად ჩამოყალიბებაში გაწეული დახმარებისათვის.

მადლობა თვისობრივსა და რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე პირებს.

# აბსტრაქტი

ნაშრომის სათაურია დისტანციური მუშაობის გავლენა ოფისის თნამშრომელთა მოტივაციაზე კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში (საქართველოს მაგალითზე). მოცემული თემა საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ბოლო ორი წლის განმავლობაში დაგროვებულ პრაქტიკასა და გამოცდილებას უკავშირდება. პანდემიამდე საქართველოს ბაზარზე არსებულ კომპანიებს, დამსაქმებლებსა და თანამშრომლებს არ ჰქონიათ დისტანციური მუშაობის გამოცდილება. აღნიშნულ სიახლეს თან ახლდა მძიმე ეპიდემიური ვითარება, რაც საკმაოდ რთულად აისახება პიროვნების განწყობასა და მოტივაციაზე. აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო იმ სარგებლისა თუ დანაკარგის შესწავლა, რაც გამოიწვია მოცემულმა ვითარებამ თანამშრომლების მოტივაციის კუთხით. ნაშრომის ფარგლებში განხილულია უცხო ქვეყნების დაგროვილი გამოცდილება, რა სარგებლისა თუ ზიანის მომტანია მოცემული გრაფიკით მუშაობა. ხოლო, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ქართულ ბაზარზე არსებულ კომპანიებსა და მათ თანამშრომლებზე. ასევე ყურადღება გამახვილდა კომპანიების მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებსა და წამახალისებელ ქმედებებზე, როგორ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მოცემულ მძიმე სიტუაციაში თანამშრომლების მოტივაციის დონე, ვინაიდან მოტივაცია და განწყობა განსაზღვრავს შესრულებული საქმის ხარისხს. კვლევის მიზანია, შეისწავლოს თანამშრომლების მოტივაციის დონე დისტანციური მუშაობის პრაქტიკაში და ასევე გამოკვეთოს ის ძირითადი სარგებელი და დანაკარგი, რომლის წინაშეც დადგნენ, როგორც კომპანიები, ასევე დასაქმებული პირებიც. საკვლევი საკითხებისთვის პასუხის გაცემა და ჰიპოთეზის დამტკიცება მოხდა ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19 პანდემია, დისტანციური მუშაობა, მოტივაცია.

# Abstract

The title of the paper is remote work on the motivation of office workers during the Covid-19 pandemic (case of Georgia). The main topic is a current issue, it contains the last two years and collected practical practices and technical issues. Before the pandemic, companies, employers and employees in the Georgian market did not have remote work. The mentioned news was accompanied by a severe epidemic situation, which creates personal problems and motivation. Therefore, it was interesting to study the benefit or loss caused in terms of employee motivation. The collection of foreign data, whether it is useful or harmful, is discussed within the scope of the work. And the translated focus was on the companies and their employees in the Georgian market. Attention was also focused on the various measures taken by the companies and encouraging actions, how they tried to maintain the difficult situation, the motivation for cooperation, motivation and determination to carry out the work done. The purpose of the cross-section is to study the motivation levels of remote cooperation that can be implemented in practice and also to find out the benefits and losses of translation, the measures have been set, both companies and employed individuals. Answering the research questions and confirming the hypothesis was done according to the information provided within the scope of the work.

Keywords: Covid-19 pandemic, remote work, motivation